



პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 2 20 0001245788



31/12/2020

**„სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N08 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N08 გადაწყვეტილების დანართი N1-ში და ჩამოყალიბდეს ამ გადაწყვეტილებაზე თანდართული დანართ N1-ის შესაბამისად.
2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2020 წლის 31 დეკემბრის №1245486 სხდომის ოქმის №7 ნაწილი (დანართი №2).

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2) ცენტრის ვებგვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ლორია ხათუნა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
კასრაძე იზა

